პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 30 (6095)
1978 წ. 11 თებერვალი
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდოისტთა თბილისის IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი

# პირველი ლაურეატები

მოხდა ისე, რომ მომავალი ფინალისტები ქვეჯგუფშივე დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი სერგეი ნოვიკოვი და იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის იასიხორო იამასიტო — ძიუდოს ამომავალი ვარსკვლავი, როგორც ახლა მას უწოდებენ.

მანამდე იამასიტომ უკვე მოასწრო ქართველი მაყურებლის გულის მოგება — ელვისებური, ლამაზი გდებით წმინდა გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრების წევრ მ. შირინიანთან. იაპონელმა ძიუდოისტმა იმ ორთაბრძოლაში სულ 17 წამი დაჰყო ტატამზე. კიდევ უფრო ადრე იამასიტო ყურადღებით ადევნებდა თვალს ნოვიკოვის პირველ პაექრობას. სახელიანი მეტოქის შესწავლა „უშუალო საქმიანობისას" ყოველთვის სასარგებლოა, მით უმეტეს, თუ ეს სახელი უმაღლესი ხარისხის შედეგებთან ერთად მოიხსენება.

ბრძოლის გამწვავება პირველი ადგილის ამ ორ მთავარ მაძიებელს არ

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები ქვემძიმე წონაში. მარცხნიდან — ა. შუროვი, რ. ხარშილაძე, კ. ივატე, ვ. დვორჩინსკი.



# თაოსნობას მხარს უჭერენ

როგორც ვიტყობინებოდით, 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა მნიშვნელოვნად გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს. მათ მხარი დაუჭირა საქართველოს სპორტკომიტეტმა, რომელმაც რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციას მოუწოდა მიებაძა ინიციატორებისთვის.

და აი, ამ შესანიშნავ თაოსნობას ამოეხმაურნენ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საშუალო სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები, თერჯოლის რაიონის სპორტკომიტეტი, მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმისა და ოლიმპიური რეზერვის თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლის კოლექტივები.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სკოლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა რაიონის ფიზკულტურის მასწავლებელთა, კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეთა და მოსწავლე სპორტსმენ-აქტივისტთა კრებაზე ივალდებულეს ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავისთვის შეასრულონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1978 წლის გეგმების ძირითადი მაჩვენებლები, შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდონ ფიზკულტურელთა, სპორტსმენ-თანრიგოსანთა, საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა და მსაჯთა რაოდენობა, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ჩააბან მეოთხე-მეათეკლასელთა 80 პროცენტი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გახსნან 9 სპორტული კლასი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ რაიონის ტერიტორიაზე მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მოსაწყობად გამართულ შაბათობებში.

თერჯოლის ფიზკულტურულ ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს ფიზკულტურელთა რიცხვი გაზარდოს 10200-მდე, მოამზადოს 3000 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, 1200 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, 900 მსაჯი, აგრეთვე, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 2500 მასობრივი თანრიგის სპორტსმენი. რაიონის ყველა სოფელში მოეწყობა მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს ხელდამშვენებული შეხვდებიან ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. მიმდინარე წელს აქ აღზრდიან 1 სპორტის ოსტატს, 2 სპორტის ოსტატობის კანდიდატს, 52 პირველთანრიგოსანს და 180 მასობრივი თანრიგის სპორტსმენს, ფართოდ გაშლიან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას.

თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის ცენტრალურ სკოლაში მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა რაოდენობა 400-მდე გაიზრდება, მომზადდება 15 პირველთანრიგოსანი და 55 მეორე და მესამე (მოზრდილთა) თანრიგის სპორტსმენი, 10 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 2 სპორტის ოსტატი.





საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადა

•

# ერთი სკოლის აღსაზრდელთა შეტევა

ბაკურიანი, 10 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ამ სამთო კურორტზე ეს დღეები საგრძნობლად დატვირთულია შეჯიბრებებით — ერთდროულად სამი დიდი ტურნირი მიმდინარეობს. საქართველოსა და მოსკოვის სპარტაკიადებს „შეერთდა" ბიატლონისტთა საკავშირო თასის გათამაშება, რომელმაც ქვეყნის ნაკრების კანდიდატები უნდა დაასახელოს.

რესპუბლიკური სპარტაკიადის მოთხილამურეთა სტარტები ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში, სპეციალურ სლალომსა და 70-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებებს დაეთმო. გუშინ კი ვაჟები სლალომსა და 40-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ. ბიატლონისტთა ტურნირი გუშინ დაიწყო, ისე, რომ ახლა აქ მოსაწყენად არავის სცალია.

განსაკუთრებით ხალხმრავალი გახლდათ სლალომისტ ვაჟთა შეჯიბრება. სტარტზე 125 მონაწილემ მოიყარა თავი. მათგან 45 საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდა. სხვები მოსკოვის ჩემპიონის სახელს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

450-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 200 მ, ორივეჯერ 58 კარი) ორი დაშვების ჯამში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისელი ი. ნასყიდაშვილი („ბურევესტნიკი") — 1.39,24. სპორტის ოსტატმა, ბორჯომელმა ა. სტეპანიანმა („შრომითი რეზერვები") მასთან ბრძოლაში 0,31 წამი წააგო. III ადგილი ნასყიდაშვილის თანაგუნდელს ლ. ბანდურს ხვდა — 1.40,96.

იუნიორებიც ამ ტრასაზე ცდიდნენ ძალას. თბილისის დინამოელმა ა. კოზანაშვილმა (1.42,53) ბორჯომის დინამოელი ი. გავა 6 წამზე მეტით ჩამოიტოვა. ეს სოლიდური სხვაობაა. III ადგილი ერგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს თ. ჯაფარიძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 1.50,24

ქალებისთვის ტრასა 70 მეტრით ნაკლები გახლდათ. როგორც მოზრდილთა, ისე გოგონათა შორის ყველა საპრიზო ადგილი ბაკურიანელებმა დაიკა-

(დასასრული მე-8 გვ.).



ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# VII პარტიის ფინალი

როგორც ვიუწყებოდით, ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების, მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალური მატჩის VII პარტია, რომელიც სამშაბათს გადაიდო, ოთხშაბათს უნდა დამთავრებულიყო. შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. მეტოქენი მხოლოდ 82-ე სვლაზე დაზავდნენ.

პარტია გადადებული იყო ასეთ მდგომარეობაში:

ჩიბურდანიძე



კუშნირი

ორი კუს უპირატესობა და ზედმეტი პაიკი მეფის ფრთაზე კუშნირს უფრო პერსპექტიულ თამაშს ჰპირდებოდა, თუმცა პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო. თამაშის განახლებისას ჩიბურდანიძე კონკრეტული სტრატეგიული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. მისი მიზანი იყო ერთ-ერთი კუს გაცვლა და მერე მიუვალი პოზიციის აგება. კუშნირს შეეძლო 43. a4-ით ხელი შეეშალა გეგმის ხორცშესხმისთვის, მაგრამ ვერ შენიშნა იგი. მხედრის გაბედული მანევრით ჩიბურდანიძე შეიჭრა თეთრების განლაგებაში და ჩანაფიქრის პირველი ნაწილი (კუთა გაცვლა) სისრულეში მოიყვანა. მაგრამ, მხედარი უკან რომ დაებრუნებინა, მსხვერპლად პაიკის გაღება დასჭირდა. ამ პაიკის უქონლობა სრულებით არ დასტყობია ქართველი დიდოსტატის დაცვას. კუშნირი ამაოდ ცდილობდა ზედმეტი პაიკის გამოყენებას. მისმა მეფემ ვერ შეაღწია შავების განლაგებაში. ბოლოს კუშნირმა თავად შესთავაზა ყაიმი მაიას.

აი, თამაშის მსვლელობაც:

41. კe3 (ჩაწერილი სვლა) 41. ... მფf8 42. მფg3 მc7 43. მფf2 მb5 44. a4 მa3 45. კh6+ მფe7 46. მფe3 კc2 47. კ:c2 მ:c2 48. მფd3 მe1+ 49. მფe2 მc2 50. კe3 a5 51. კf2 მფe6 52. მფd3 მb4+ 53. მფc3 მფe5 54. კg3+ მფe6 55. მფc4 მc2 56. მფd3 მb4+ 57. მფc3 მფd7 58. კf4 მფe6 59. მფc4 f5 60. კd2 მa6 61. მფd4 fe 62. fe მb8 63. კ:a5 მd7 64. კc7 მf6 65. მფe3 მd7 66. კd6 მf6 67. მფf4 მფf7 68. a5 მფe6 69. კe5 მd7 70. კd6 მf6 71. g3 მფf7 72. კe5 მd7 73. კd6 მf6 74. მფe5 მd7+ 75. მფd4 მf6 76. კf4 მფe6 77. კg5 მd7 78. კh6 მფf7 79. კd2 მფe6 80. კc3 მe5 81. კb2 მd7 82. მფc4 მფe7.

# VIII პარტია

ხუთშაბათს პრეტენდენტებმა VIII პარტია გაითამაშეს. კუშნირმა მეორედ აირჩია კარო-კანის დაცვა. ჩიბურდანიძემ არ ისურვა გართულებაზე თამაში და მეტოქეს რამდენიმე მსუბუქი ფიგურა გააცვლევინა. პოზიცია თანდათან გამარტივდა, ლაზიერების გაცვლის შემდეგ კი თანაბარი ენდშპილი შეიქმნა.

კუშნირმა ისარგებლა მეტოქის არაზუსტი 26-ე სვლით და ცენტრში მხედრის გამაგრების შემდეგ ლაზიერის ფრთის პაიკები აამოძრავა. ჩიბურდანიძე ფხიზლად იგერიებდა მუქარას. მერე გაცვალა საშიში მხედარი და პოზიცია მთლიანად გათანაბრდა.

კუშნირის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

ჩიბურდანიძე — კუშნირი
კარო-კანის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. მd2 de 4. მ:e4 მd7 5. კc4 მgf6 6. მ:f6+ მ:f6 7. მf3 კf5 8. 0—0 e6 9. c3 კg4 10. h3 კ:f3 11. ლ:f3 კe7 12. კf4 0—0 13. ეad1 მd5 14. კc1 კg5 15. კ:g5 ლ:g5 16. ეfe1 ეfd8 17. g3 a5 18. ეe5 ლf6 19. მფg2 b5 20. კd3 ლ:f3+ 21. მფ:f3 ეab8 22. ეd2 g6 23. h4 h5 24. კf1 მფg7 25. ეd1 მფf6 26. ეc1 c5 27. ეe4 c4 28. ე4e1 ეdc8 29. a3 ეc7 30. ეc2 ეbc8 31. ეec1 მფe7 32. კe2 მფd6 33. მფg2 ეb8 34. კf3 ეbc8 35. ეe2 b4 36. კ:d5 cd 37. ab ab 38. ეa1 bc 39. bc ეb7 40. ეa6+ ეc6 41. ეa8 ეcb6 42. ეe5 ეb8. ყაიმი.

ამრიგად, 8 პარტიის შემდეგ ლიდერობს ჩიბურდანიძე — 5:3.

დღეს პრეტენდენტები ისვენებენ. ხვალ, კვირას IX პარტია გაიმართება.

# საქმეში — შთაბეჭდილება

ბავარიის საკურორტო ქალაქ ბად-კისინგენში მიმდინარე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალურ მატჩში განვლილია დისტანციის ნახევარი. ჩვენ სწორედ ამ დროს ვეწვიეთ საბჭოთა მოჭადრაკეთა პატარა დელეგაციას.

ვესაუბრებით დიდოსტატ ბ. გურგენიძეს.

— შეიძლება, — თქვა გურგენიძემ, — მაიას ყველა პარტია არ იყოს „მთლიანი", მაგრამ დარბაზიდან თვალს რომ ადევნებ, დიდი შთაბეჭდილება გრჩება: იგი თამაშობს გაბედულად, დაჯერებულად, მუდამ მიილტვის ინიციატივისკენ. მაგალითად, V პარტიაში შავებით მაიამ მე-11 სვლაზე გააძლიერა ვარიანტი, რომელიც I პარტიაში გამოიყენა (ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა) და შესანიშნავი პოზიცია მიიღო. მას ორი გზა ჰქონდა: მოეგო პაიკი ან პოზიციური გზით დაწოლა გაეძლიერებინა. უფრო საიმედო მეორე გაგრძელება იყო, მაგრამ მაიამ პოზიციის გამწვავება ამჯობინა, თუმცა ხედავდა, რომ პაიკის მოგების შემდეგ უნდა დაეთმო ლაზიერი ორ მსუბუქ ფიგურაში (და ეს ზედმეტი პაიკი). და მაინც გართულებას გაჰყვა.

შეიქმნა მეტისმეტად დაძაბული პოზიცია ორმხრივი შანსებით. პარტია გადაიდო. თამაშის განახლებისას კუშნირს მხოლოდ ყაიმის იმედი უნდა ჰქონოდა, თუ შავები ხაზებს გახსნიდნენ ლაზიერის ფრთაზე. მაგრამ მან თავისი პოზიცია უკეთესად მიიჩნია და მოგებაზე თამაშს განაგრძობდა. მაშინ შავები კონტრიერიშზე გადავიდნენ და თეთრ მეფეს მოუგერიებელი მუქარა შეუქმნეს. ეს იყო ალბათ მატჩის ყველაზე დრამატული პარტია, რომელშიც მაიამ დიდი ნებისყოფა და ფანტაზია გამოავლინა.

იგი დაჯერებულად ლიდერობს, მაგრამ ყოველ პარტიაში მაინც აქტიური თამაშისკენ მიისწრაფის. ასე იყო VI პარტიაშიც, რომელშიც ადვილად შეეძლო ყაიმის მიღწევა, მაგრამ სულ უფრო ამძაფრებდა თამაშს, რაც მისთვის წაგებად შემობრუნდა. რას იზამ...

...გამოჩნდა მაია ჩიბურდანიძე. ძალიან სასიამოვნოა საზღვარგარეთ მშობლიური ქვეყნის, საქართველოს მხარდაჭერის შეგრძნება, — თქვა მან მოკრძალებით.

17 იანვარს მაიას 17 წელი შეუსრულდა. იმ დღეს მოსკოვიდან, თბილისიდან, აგრეთვე, ბონში საბჭოთა საელჩოდან მოდიოდა გულთბილი მოსალოცი დეპეშები, ტელეფონში გაისმოდა წარმატებების სურვილები.

ბად-კისინგენი.
9 თებერვალი.

# სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

**ტრესტ** „ინჟმშენის" მთავარ ინჟინერ თ. ებრალიძესთან ერთად თბილისში, სტალინის სახელობის სანაპიროზე აუზის მშენებლობაზე უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში გაწეული მუშაობის შეჯამებისას, გავარკვიეთ, რომ ამ მონაკვეთში გრაფიკით 65 ათასი მანეთის საქმე უნდა შესრულებულიყო. მშენებლებმა პირობა ძირითადად გაანაღდეს. აქ უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე დაიგო 1160 კვადრატული მეტრი მოზაიკის ფილა, დაეწყო 345 კვ მეტრი კაფელი, შესრულდა 4300 კვ მეტრი ცემენტის ხსნარით და 1450 კვ მეტრი გაჯით ლესვა...

ერთი სიტყვით, უქმად არავინ ყოფილა, ის კი არა, თავის მოსაფხანადაც არავის ეცალა, მაგრამ უხარვეზოდ არც ამ დღეებს ჩაუვლია, გეგმების შესრულებაში ოდნავ ჩამორჩნენ „საქსპორტმშენის" და ქალაქის საბჭოს სამშენებლო-

# კონტრასტები ნაცნობ ობიექტზე

სარემონტო ტრესტი. თურმე ეს ორგანიზაციები სულაც არ ყოფილან დამნაშავენი.

— ფრონტი ვერ მივეცით. უამინდობამაც ძალიან შეგვაფერხა, — გვიხსნის ებრალიძე, — სამაგიეროდ, ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უბანზე საქმე დაწინაურდა. ახლა აქ ერთდროულად მუშაობენ მეკაფელეები, მლესავები, გრანიტის იატაკის გაწყობის ოსტატები. მათ უკვე 6000 მანეთის საქმე შეასრულეს. ვერც „პროვენტილაციის" ქალაქის სარემონტო სამმართველოს დავემდურებით, ვერც „სანტექმონტაჟის" თბილისის სამონტაჟო სამმართველოს. მათ თავიანთი საქმე იციან და გრაფიკს კიდევაც უსწრებენ...

მოიჯარეს — „ინჟმშენის" № 1 სამშენებლო სამმართველოსაც არ უმუშავია ურიგოდ. მისი ხელოსნები, მართალია, ორ ცვლას სრულად ვერ მუშაობენ, მაგრამ მაინც ბევრი რამ გააკეთეს. მათი გარჯის ახლანდელი და ადრინდელი ტემპების შედარებაც არ შეიძლება. „ინჟმშენს" ამ ობიექტზე აქამდე 265 კბ მ მონოლითური რკინა-ბეტონი უნდა დაეწყო. მართალია, გეგმას 50 კბ მ დააკლეს (რადგან დურგლები არ ჰყოფნით და თოვლჭყაპიც აფერხებს საქმეს), სამაგიეროდ, ანაკრებ რკინა-ბეტონის სამუშაოებს 55 კბ მ-ით გადაამეტეს და მოცულობაში მდგომარეობა თითქოს გაწონასწორდა.

— მაგრამ ეს არ გვამართლებს. უნდა შესრულდეს ის სამუშაო, რასაც გრაფიკი გვავალებს, — აღიარებს მთავარი ინჟინერი.

ახლა „ინჟმშენის" ოსტატთა მთავარი ყურადღება ბაზის მშენებლობის დარჩენილ სამუშაოებზეა გადატანილი. ბოლო რიგელი, წყალში სახტომები, გვერდითი საყრდენი კედლის ამოყვანა და სხვ. დროულ დამთავრებას მოითხოვს, რომ ფრონტი შეიკრას და მერე, ყველა ორგანიზაციამ საერთო ძალით შეუტიოს ჩვენი დედაქალაქის ამ უნიკალური სპორტული ნაგებობის კეთილმოწყობის სამუშაოებს.

შაბათს, მშენებლობის შტაბის მორიგი სხდომის დღეს, საქმიანობის ტემპი აქ თითქოს უნაკლო იყო. შემოვლისას ოსტატები თავიანთ უბნებზე განსაკუთრებული გულმოდგინებით ფუსფუსებდნენ: სად ამწე ბეტონის ხსნარს აწვდიდა ყალიბებში ჩასასხმელად, სად ტრიბუნების ქვეშ კედლების ამოყვანაზე მუშაობდნენ. ზოგან მოზაიკური ფილებით იატაკი თანდათან ლამაზდებოდა, სხვაგან კედლებს კაფელს აკრავდნენ, გაჰყავდათ კანალიზაციის, გათბობის, წყალსადენის ხაზები, ამონტაჟებდნენ სავენტილაციო მილებს... ყველას რა ჩამოთვლის.

ერთი სიტყვით, ვინც აქ ორისამი თვის წინათ ყოფილა, როცა მშენებლობაზე 25-30 კაცი ძლივს მოიძებნებოდა, ამ დღეებში უდავოდ კმაყოფილი უნდა დარჩეს — ამდენ მუშას ახლა მარტო „საქსპორტმშენის" ერთი სამუშაოთა მწარმოებელი ა. მედულაშვილი უძღვება, აღარას ვამბობთ „ინჟმშენზე", რომელმაც მისთვის მიჩენილ ყველა უბანზე საუკეთესო ძალებს მრავლად მოუყარა თავი, სხვა ქვემოიჯარეებზე, რომელთა მიმართ შტაბის უკანასკნელ სხდომაზე სამდურავი არავის დასცდენია. ეს იყო შაბათს.

საგაზეთო წერილისთვის ახალი




ფაქტების შესავსებად ორშაბათს კვლავ ვეწვიეთ აუზს. იმ დროს მივედით, როცა არავის ელოდნენ — სამუშაო დღის დამთავრებამდე ორიოდე საათით ადრე. შემოვლა პრეს-კორპუსიდან დავიწყეთ. აქ ქალაქის საბჭოს სამშენებლო-სარემონტო ტრესტის ოთხი მუშის მეტი ვერავინ ვნახეთ, მათგან მხოლოდ ერთი საქმიანობდა — მეორე სართულის იატაკზე მოზიაკურ ფილას აგებდა. სხვები იქვე ცეცხლთან „ღვრიდნენ ოფლს". მერე შევიტყვეთ, იმ დღეს ობიექტზე ამ ტრესტის კიდევ სამი მუშა ყოფილა. ეს არის და ეს. ტრესტს ამ უბანზე საკმარისი საქმე აქვს გასაკეთებელი. შვიდიოდე კაცით კი მას აგრე იოლად ვერ აუვა.

იქნებ შემოგვედაონ: რა მოხდა, ზამთარია, შესცივდათ და მცირე ხნით გათბნენო. ჯერ ერთი, თბილისში არც ისე ცივი ზამთარია, რომ ფიზიკურად მომუშავე ცეცხლს მიეფიცხოს, მეორეც, იმ მეოთხეს (სამწუხაროდ, გვარი არ ვკითხეთ) რატომ არ შესცივდა? ვფიქრობთ, სწორედ მას აწუხებდა მუშური სინდისი, ამიტომაც საქმეს არ ღალატობდა.

მაგრამ ვაი, რომ ეს სურათი გამონაკლისი არ იყო. სხვა უბანზე დომინოს სათამაშოდაც მოეცალათ (?!), სწორედ იმ ოთახში ვნახეთ „სანტექმონტაჟის" სამუშაოთა მწარმოებელი ა. ნატროშვილი, რომელიც ის-ის იყო შემოვიდა. მისი ოსტატების საქმიანობაზე რამდენიმე სიტყვა გვითხრა:

— კვირის მანძილზე 7000 მანეთის საქმეს მაინც უნდა ვაკეთებდეთ. 15-16 კაცს (აქ ყოველდღიურად ამდენი მემონტაჟე მუშაობს) ეს შეუძლია, ჩვენ კი მხოლოდ ნახევარს ვასწრებთ, რადგან ხელშეწყობა არ გვაქვს.

ვაჭრობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს ბრიგადამ ორშაბათს თავი ნამდვილად შეირცხვინა. დილიდან განათება არ ჰქონდათ (მონტიორმა სინათლის წყარო დროულად ვერ მოძებნა). ჰოდა, ოსტატებიც შინ წასულიყვნენ.

„პროვენტილაციის" ზედა სართულებში მთავარი სამუშაოები დაუმთავრებია, ამიტომაც სარდაფში საქმიანობდნენ. ბრიგადირი ნ. ტყემალაძე გამოგვიტყდა, რომ ამ კვირის პირველივე დღეს მხოლოდ რვა დამხრამე ჰყავდა.

— სავენტილაციო კამერები მზად არ არის, პროექტის უზუსტობანიც ხელს რომ არ გვიშლიდეს, უფრო კარგ მაჩვენებელს მივაღწევდით. ხანდახან უსინათლობაც გვაფერხებს...

ესეც მოიჯარის ბრალია. საღამოს, როცა ებრალიძეს გადავეცით ტყემალაძის სამდურავი, არ დაუმალავს, რომ ბრიგადირი სწორი იყო და ისიც დაუმატა:

— ასეთ დიდ საქმეში ერთბაშად ყველაფრის საათივით აწყობა ძნელია, ზოგჯერ პატარა შეფერხებები ხელს ვერ უნდა გვიშლიდეს...

შესაძლოა, ებრალიძე მართალი იყოს, მითუმეტეს მშენებლობის შტაბის ბოლო სხდომაზე გაირკვა, რომ მომარაგებაში არსებითი ნაკლოვანებანი აღარ არის (თუ ფილტრების საკითხს არ ჩავთვლით).

სარეაბილიტაციო ცენტრისთვის განკუთვნილი ფართის მოწყობა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს იმ ჯგუფს ავალია, რომლის სამუშაოთა მწარმოებელია ი. ხაჭაპურიძე.

ორშაბათს აქ 17-ის მაგიერ 12 კაცი საქმიანობდა.

— ხომ ხედავთ, ჭერიდან წყალი ისე ჩამოდის, როგორც გარეთ, ამიტომაც მლესავები შინ გავუშვით. სულ ერთია, მათი გარჯა უხარისხო იქნებოდა...

იური მართალი იყო. უკვე შელესილ კედლებს აშკარად ეტყობა, რომ გამონაჟონმა ნამუშევარი დააზიანა და საკმაოდ ბევრგან შეკეთება (ზოგის აზრით, ხელახლა შელესვა) დასჭირდება. ეს საიზოლაციო სამუშაოების დროზე ჩაუტარებლობამ გამოიწვია. სხვა მხრივ ამ ორგანიზაციას საქმე ცუდად არა აქვს, გრაფიკით ასრულებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული.

„საქსპორტმშენი" ორშაბათს 17 კაცით შეუდგა მუშაობას (გაჯის ოსტატები არ მოსულიყვნენ). ისინი ყველანაირ საქმეს აკეთებდნენ — შიგა აუზის ჭერს ცემენტის ხსნარით ლესავდნენ, გასახდელებში კაფელს აწყობდნენ, დერეფნებში — მოზაიკურ ფილებს, კარის ჩარჩოებს აყენებდნენ, იატაკს ასწორებდნენ...

— თუ კედელი სწორია კარგი ოსტატი დღეში 4-5 კვ მ კაფელს უნდა აკრავდეს, აქ ამას ვერ ვახერხებთ, რადგან კედლების სწორებაც ჩვენ გვიხდება. მოიჯარეს ვერ დავემდურებით — „ინჟმშენი" ყოველნაირად ხელს გვიწყობს, — გვიხსნის ა. მედულაშვილი.

— მოწინავეები თუ გყავთ?

— გამორჩევა მიჭირს, მაგრამ დურგლებს ცეზარ კოჰლამაზაშვილსა და მიხეილ ისაიანს, მოზაიკის ბრიგადის ხელმძღვანელს ბორის კილაძეს მაინც გამოვყოფ, ხელმარჯვე ოსტატები არიან...

...აუზზე საქმიანობის იმდღევანდელი საერთო სურათით მაინც უკმაყოფილო დავრჩით. იგი ორიოდე დღის წინ ბევრად უკეთესი იყო.

**საქართველოს სპორტკომიტეტმა თბილისში ახალი საცურაო ბაზის მოწყობაზე „საქსპორტმშენის" სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უბნის საქმიანობის გაუმჯობესებისა და ოპერატიული ხელმძღვანელობისთვის შექმნა სპეციალური შტაბი, რომლის უფროსობა დაევალა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ებრალიძეს.**




# ონის რაიონში — პირველად

**წლეულს** მშდ-ის რესპუბლიკური ინსპექცია რეიდს უკვე მეოთხედ ატარებს, მაგრამ ონის რაიონს პირველად ეწვია. ადგილობრივი ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მშდ-ის რაიონული ინსპექცია უმოქმედოდ არ ყოფილა (შარშან 18 ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობა შეუმოწმებიათ, აქტებიც შეუდგენიათ), მაგრამ მშდ კომპლექსზე მუშაობაში ნაკლოვანებები მაინც გვხვდება.

„კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ლ. რაზმაძემ გულახდილად გვითხრა, რომ სოფლის ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში ამ მხრივ არაფერს აკეთებენ. როგორც გამოირკვა, მხოლოდ პიპილეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ჰყავთ ფიზკულტურის შტატიანი მეთოდისტი, სხვაგან ამ საქმეს საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებიან და სასურველ შედეგს ხშირად ვერ აღწევენ.

პიპილეთის მეურნეობაში შარშან 30 მშდ-ის ნიშნოსანი მოუმზადებიათ. ფიზკულტურის მეთოდისტს მ. ჯაფარიძეს დოკუმენტაცია საქმის ცოდნით შეუდგენია, მაგრამ აქტივი ვერ დაურაზმავს და მთელი მუშაობა მის კისერზე გადადის. მშდ კომისიას და საინსპექციო ჯგუფს სამუშაო გეგმები არა აქვთ. სხდომები არ ტარდება. მივიწყებულია მშდ მრავალჭიდელთა შეჯიბრებები, არაა შექმნილი სასწავლო ჯგუფები, არც კომპლექსის პროპაგანდას ექცევა საჭირო ყურადღება. მეურნეობას სპორტული ბაზაც არ გააჩნია.

ამავე სოფლის საშუალო სკოლის IV-X კლასებში 64 მოსწავლე სწავლობს, მათგან 42 მშდ-ის ნიშნოსანია. მშდ კომისიას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი ციური ცერცვაძე. რეგულარულად ტარდება ტურისტული ლაშქრობები, მშდ-ის მრავალჭიდის შეჯიბრებები, სხვა მასობრივი ღონისძიებები.

ონის 1-ლი საშუალო სკოლის 556 მოსწავლიდან 189 მშდ-ის სამკერდე ნიშანს ატარებს. საკმაოდ სოლიდური ციფრია. სკოლის ნიშნოსნების გარკვეულ ნაწილთან ჩატარებული შემოწმებისას მოსწავლეებმა პრაქტიკული ნორმატივები გადაჭარბებით შეასრულეს, არც მათს თეორიულ მომზადებას დაუტოვებია ურიგო შთაბეჭდილება. ეს ფიზკულტურის მასწავლებლის ი. ტყეშელაშვილის ნაყოფიერ მუშაობას უნდა მივაწეროთ, თორემ მშდ-ის კომისია და სასწავლო ჯგუფი აქტიურობით ვერ გამოირჩევა. სხდომებს არ ატარებენ, პრაქტიკულ მუშაობას არ ეწევიან.

სოფელ ეწერის საბჭოთა მეურნეობაში 700-ზე მეტი ადამიანი მუშაობს, ფიზკულტურის შტატიანი მეთოდისტი კი არ ჰყავთ, სტატისტიკური მონაცემებით 1977 წელს აქ 27 ნიშნოსანი მოუმზადებიათ, თუმცა მათი სახელობითი სიის გარდა, ადგილზე არავითარი დოკუმენტი არ აღმოჩნდა. ნიშნოსანთა მომზადების შესახებ მეურნეობის დირექტორის ბრძანების წიგნშიც არაფერია ნათქვამი. როგორც ჩანს, მეურნეობის ხელმძღვანელობას (დირექტორი ა. გუგუშაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. შერაზადიშვილი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნ. რეხვიაშვილი) სათანადოდ არ ესმის, რომ მშდ კომპლექსის მასობრივად დანერგვა, ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გაშლა მარტო სპორტული ორგანიზაციებისა და ფიზკულტურული კოლექტივების მოვალეობა როდია. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა თქვან.

**ე. გერიშვილი,**
**მშდ-ის რესპუბლიკური ინსპექციის წევრი.**

# ვეტერანთა საბჭო მუშაობას შეუდგა

**როგორც** ვიტყობინებოდით, საქართველოს სპორტკომიტეტთან შეიქმნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა საბჭო.

ამ დღეებში საქართველოს ალპურ კლუბში გაიმართა ვეტერანთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც დაამტკიცა საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა. ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ო. დიდებულიძე.

# კრასნოდარსა და დონის როსტოვში

**კრასნოდარში** გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების ფალავნები მონაწილეობდნენ. „სპარტაკის" საკავშირო საბჭოს გამარჯვებულის ტიტული დაისაკუთრა თბილისელმა მძიმეწონოსანმა **გ. კვიცაშვილმა** (მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ვ. მაისურაძე**).

**დონის როსტოვში** კი მოეწყო „ბურევესტნიკის" საკავშირო საბჭოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში 1958-1960 წლებში დაბადებულთა შორის. მძიმე წონაში პირველი ადგილი არავის დაუთმო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა **რ. კანთელაძემ.** ქართველმა ფალავანმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **კ. შენგელაძე** წვრთნის, როსტოვის ხალიჩაზე 7 შერკინება გამართა: ექვსი წმინდად მოიგო, ხოლო ერთი ქულებით. ორივე თბილისელი ფალავანი თავიანთი სპორტსაზოგადოებების ღირსებას დაიცავენ ქვეყნის ჩემპიონატში.

**შ. ქორიძე.**

## ჭიდაობა



**ვ**აკის საცურაო აუზში დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1961 წელში და უფრო ადრე დაბადებული მოცურავეები თბილისიდან, ქუთაისიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, ჭიათურიდან და რუსთავიდან. მათ გარდა ცისფერ ბილიკებზე ვიხილეთ უმცროსი ასაკის მოცურავეებიც, რომლებიც უკონკურსოდ გამოდიოდნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ ნორჩებმა გამოიჩინეს თავი. 133-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ი. აზმაიფარაშვილმა საქართველოს აბსოლუტური რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.36,0. შემდეგ კი თავის თანაგუნდელებთან ი. მალინინასთან, მ. დანელიშვილთან და ნ. ზალდასტანიშვილთან ერთად კიდევ ერთი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა — ამჯერად გოგონებისა 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.26,2.

**ა. რაჭველიშვილი.**

• • •

სურათზე: ი. აზმაიფარაშვილი.

●

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.




ს უ რ ა თ ზ ე: სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენელი, სპეციალურ სლალომში გამარჯვებული მერი კოზანაშვილი.

ავტორის ფოტო.

# ერთი სკოლის აღსაზრდელთა შეტევა

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ვეს. მათგან ერთი — მანანა კოზანაშვილი თბილისის „დინამოს“ სახელით გამოდიოდა (სხვები ბორჯომის გუნდში არიან) და ქალთა შეჯიბრებაში III ადგილი მოიპოვა — 1.55,51. მას აჯობეს ც. კოზანაშვილმა (1.34,36) და თ. ბანდურმა (1.37,76). გოგონებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მერი კოზანაშვილი — 1.36,95, თ. გელაშვილი — 1.40,01, მ. ხრიკაძე — 1.51,25, აღსანიშნავია, რომ ყველა „დინამოს“ სკოლის აღზრდილია.

ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენში არავითარ მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონია. როგორც 5 კილომეტრზე შეჯიბრებისას, ახლაც საპრიზო ადგილები ამ თანმიმდევრობით განაწილდა: ნ. ბალაშვილი (გარდაბანი, „კოლმეურნე“) — 42.39, მ. კალმიკოვა (ბოგდანოვკა, „კოლმეურნე“) — 44.33, ლ. ვასილენკოვა (თბილისი, „სპარტაკი“) — 45.36. გოგონები: ნ. ვასილენკოვა (თბილისი, „სპარტაკი“) — 45.24, ლ. ვლასოვა (ბოგდანოვკა, „კოლმეურნე“) — 48.21, მ. ტროფიმენკოვა (თბილისი, „სპარტაკი“) — 48.52.

ტრამპლინიდან ხტომები ორ დღეს გაგრძელდა. სპარტაკიადის მონაწილენი ჯერ 70-მეტრიან ტრამპლინზე ცდიდნენ ძალას. შეჯიბრებამ 13 მონაწილეს მოუყარა თავი. შედეგები არასახარბიელოა — 200 ქულას ერთი მონაწილეც ვერ შეწვდა. უფრო იმედის მომცემი აღმოჩნდა მეორე დღეს 40-მეტრიან ტრამპლინზე გამართული „ფრენები“.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ ტექნიკური შედეგები ასეთია: **40-მეტრიანი ტრამპლინი. ვაჟები.** გ. ზანგიევი (თბილისი, „დინამო“) — 216 (ნახტომები 44 და 44,5 მ), მ. ბაკაევი (თბილისი, „სპარტაკი“) — 211 (43,5 და 45,5), ს. ხაჩატურიანი (ბორჯომი, „დინამო“) — 198,5 (42 და 43,5 მ). **იუნიორები.** ე. ბაკაევი — 222,6 (46,5 და 45,5), ს. ხუბაევი — 210,5 (ორივეჯერ — 44 მ), გ. დიაკონაშვილი (სამივე — ბორჯომი, „დინამო“) — 210,3 (44 და 43,5). **70-მეტრიანი ტრამპლინი. ვაჟები:** ვ. ხუბაევი (ბორჯომი, „კოლმეურნე“) — 192,8 (71,5 და 73 მ), მ. ბაკაევი — 180,5 (72 და 69,5 მ), ს. ხაჩატურიანი — 174,7 (71 და 67,5 მ). **იუნიორები.** გ. დიაკონაშვილი — 159,7 (65 და 62 მ), ე. ბაკაევი 155,3 (63 და 61,5 მ), გ. ქუმარიტაშვილი (ბორჯომის „დინამო“, პირადი) — 150,6 (68 და 63 მ).

ხუთი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ: ბორჯომის რაიონის ნაკრები — 779 ქულა, თბილისის გუნდი — 671 და ბოგდანოვკის ნაკრები — 448.

მ. ზაქარეიშვილი.




# მხოლოდ სისწრაფე არ კმარა

ბაკურიანი, 10 თებერვალი (ტელეფონით). საბჭოთა კავშირის თასებისთვის მებრძოლმა ბიატლონისტებმა გუშინ პირველი სტარტი 20 კილომეტრზე რბენაში აიღეს. სპორტსმენები 4 საცეცხლე პოზიციიდან ესროდნენ სამიზნეს — ორჯერ დგომელა, ორჯერაც წოლელა.

შეჯიბრება ახალი წესების შესაბამისად ჩატარდა: სპორტსმენები ადრინდელივით საბრძოლო შაშხანით 150 მეტრიდან კი არ ისვრიან, არამედ მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრიდან ასპარეზობენ.

ყველაზე სწრაფად ირბინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. უშაკოვმა (შეიარაღებული ძალები). მან საუკეთესო დრო (1:13.02,0) აჩვენა, მაგრამ სამიზნეებს 12 ტყვია დააცილა და საბოლოოდ მე-17 ადგილზე აღმოჩნდა.

პირველობა მოიგო ასევე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მისმა თანაგუნდელმა ნ. კრუგლოვმა, რომელმაც ერთხელ დგომელა და ერთხელაც წოლელა დააცილა ტყვიები სამიზნეს — 1:15.24,2 (2).

სროლაში ყველაზე ზუსტი გამოდგა არმიელი ა. ნიკიფოროვი. მისი ყველა ტყვია ზუსტად მოხვდა სამიზნეებს, მაგრამ სპორტსმენი რბენაში რამდენიმე მეტოქეს ჩამორჩა და III ადგილს დასჯერდა — 1:16.57,0. მას აჯობა მინსკელმა სტუდენტმა ვ. ტოლკაჩოვმა („ბურევესტნიკი“) 1:16.32,4 (1).

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, დინამოელი ა. ტიხონოვი IV ადგილზე გავიდა — 1:18.16,0 (5), რადგან სამიზნეს 5 ტყვია დააშორა.

# უნივერსიადის თეთრ ბილიკებზე

ვიტყოგინეგოდით, რომ შპინდლერუვ-მლინში სტარტი აიღო ზამთრის მორიგმა მსოფლიო უნივერსიადამ. უკვე გაიმართა პირველი სტარტები, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებმა რამდენიმე მედალი მოიპოვეს.

ორჭიდში ჩემპიონი გახდა პერმელი სტუდენტი ლ. ჩაშჩინი — 429,92 ქულა. აქ ვერცხლიც საბჭოთა სპორტსმენს ხვდა წილად. ეს გახლავთ ს. მატვეევი — 403,2, ბრინჯაო ერგო კ. ხელპიკანენს (ფინეთი) — 398,97.

საბჭოთა სპორტსმენებმა ამ წარმატებას ბოლო დღეს 15 კილომეტრზე საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებით მიაღწიეს. მატვეევმა გაიმარჯვა — 48.26,99 აჩვენა. ჩაშჩინი კი მეორე ადგილზე გავიდა — 48.48,19.

ქალები სპეციალურ სლალომში ცდიდნენ ძალას. ყველას აჯობა იტალიელმა მ. ერკოლანიმ — 1.36,47, მინსკელი ნ. ზელოვა მესამე ადგილზეა — 1.38,45.

ვაჟებში იმარჯვა პოლონელმა სტუდენტმა მ. ჩაპტაკ-გასენიცამ. ქალთა შეჯიბრება ხუთ კილომეტრზე რბენაში მასპინძელმა ბ. პაულუმ მოიგო — 17.08,15.

მასპინძლები — ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურეები და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები უნივერსიადაში ჯერჯერობით თანაბრად გამოდიან.

ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე რბენაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდნენ ბულგარელი სტუდენტები ი. ლებანოვი (43.52,32) და ქ. ბარზანოვი — 44.31,92. ქალები 5 კილომეტრზე დარბოდნენ, აქაც I-II ადგილები ჩეხოსლოვაკიის გუნდის წევრებმა მოიგეს. ფინიშთან პირველი მიიჭრა ბ. პაულუ — 17.08,15. დ. პალეჩკოვამ აჩვენა 17 წუთი და 35,59 წამი. ბრინჯაო წილად ხვდა ჩელიაბინსკელ ზ. შაიხისლამოვას — 17.35,59.

უაღრესად საინტერესო გამოდგა ესტაფეტები. ქალთა შორის 3×5 კილომეტრზე რბოლაში მასპინძლების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა პაულუმ. საბოლოოდ ამ ქვეყნის წარმომადგენლებმა ფინიშამდე მისვლას 55.08,78 მოანდომეს. II ადგილზეა საბჭოთა კავშირის გუნდი.

სამაგიეროდ, ვაჟთა შორის 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში უპირატესობა სსრ კავშირის ნაკრების მხარეს იყო: ა. ზაბიალოვმა (მოსკოვის ოლქი), ა. სოკოლოვმა (იაროსლავლი), მ. სკირდონოვმა (პერმი) და ა. ჩურიკოვმა (კალუგა) თითქმის 45 წამით აჯობეს ჩეხოსლოვაკიელ სტუდენტებს, რომელთა დროა 2:09.14,33. საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხი ეტაპის გავლას მოანდომეს 2 საათი, 8 წუთი და 0,91 წამი.

ტრამპლინიდან ხტომა მოიგო ლენინგრადელმა ს. სუსლიკოვმა, რომელმაც ფ. ნოვაკს (ჩეხოსლოვაკია) 0,2 ქულით აჯობა.

ქალებმა დაამთავრეს დავა გიგანტურ სლალომში. ოქროს მედალი მოიგო დ. კუზმანოვამ (ჩეხოსლოვაკია) — 3.03,08.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

უცდია. ეს განსაკუთრებით ნოვიკოვის მიმართ ითქმის და თუ უფრო თვალსაჩინო იყო იაპონელის მცდელობა, თუ მან მაინც მიაღწია საწადელს, მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური უპირატესობისთვის, თორემ ადგილი მერვედფინალში ორივეს განაღდებული ჰქონდა. იამასიტომ გაიმარჯვა და როცა მსაჯთა ბრიგადა მძიმე წონოსანთა უკანასკნელ შეხვედრაში უძლიერესის ვინაობის დასადგენად კვლავ მოუხმობს ამ წყვილს, ოლიმპიური ჩემპიონის წინააღმდეგ ოცი წლის იაპონელ სტუდენტს ტიტულოვან მეტოქეზე უკვე სამი უპასუხო გამარჯვება — საკმაოდ ბევრისმთქმელი და საფუძვლიანი განაცხადი ექნება ხელთ. მკითხველს შევახსენებთ, რომ ნოემბერში საბჭოთა ძიუდოისტების იაპონიაში ყოფნის დროს იამასიტომ ორჯერ დაამარცხა ნოვიკოვი. სხვათა შორის მის აქტივშია გამარჯვება თბილისელთათვის კარგად ცნობილ ენდოსთანაც.

როგორც მძიმე, ისე ქვემძიმე წონის სხვა ქვეჯგუფებში, წილისყრას ასეთი საინტერესო წყვილი ერთად არ შეუყრია. და მხოლოდ მაშინ, როცა გაირკვა თექვსმეტ-თექვსმეტი უძლიერესი, რომლებსაც ამ ეტაპიდან ოლიმპიური სისტემით უნდა განევრძოთ ბრძოლა, შესაძლებელი გახდა ამა თუ იმ გუნდის პასივისა და აქტივის დათვლაც და შესაძლო ფავორიტების მონიშვნაც.

ქვემძიმე (95 კგ) წონით კატეგორიაში მერვედფინალს სსრ კავშირის ნაკრების 6 და ჩვენი რესპუბლიკის 5 წარმომადგენელი შერჩა. მძიმე წონაში — 7 და 4. ერთგან ფავორიტებად ასახელებდნენ კაცოხიკო ივატეს, როჟე ვაშონს, ევროპის ორგზის ჩემპიონს ახალგაზრდებში კურსკელ ალექსანდრე შუროვს, ქვეყნის ნაკრების ძირითად წევრს მაიკოპელ ვლადიმერ გურინს, რამაზ ხარშილაძესა და ჰამლეტ ლოლაშვილს. მეორეგან — ნოვიკოვსა და იამასიტოს გარდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ახალგაზრდებს შორის ბარნაულელ ვლადიმერ შკალოვს, მოსკოველ ალექსანდრე ტიურინსა და, რა თქმა უნდა, ჯიბილო ნიჟარაძესა და შოთა ჩოჩიშვილს.

ამ ეტაპზე კენჭისყრამ ახლა ორი ოლიმპიური ჩემპიონი დააწყვილა. ჩოჩიშვილი და ნოვიკოვი. მართალია ხუთწუთიან დაძაბულ ორთაბრძოლაში შეფასება ვერცერთმა დაიმსახურა, მაგრამ აქტიურობისთვის მსაჯებმა გამარჯვება ნოვიკოვს მიაკუთვნეს. წინასწარ ვიტყვით, რომ ამ მარცხის შემდეგ ჩოჩიშვილს საპრიზო ადგილის მოპოვების შესაძლებლობა კიდევ რჩებოდა (ნოვიკოვი ფინალში გავიდა), მაგრამ რატომღაც უარი თქვა შემდგომ ბრძოლაზე. თუმცა ყველაფერი დაკარგული არ არის — ოლიმპიური ჩემპიონი ალბათ აბსოლუტურ კატეგორიაში მაინც ეცდება თავისი სიტყვის თქმას.

ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირში ძალას ცდიან სსრ კავშირის უძლიერესი სამბისტებიც. როგორც ცნობილია, ეს სახეობა ოლიმ-

# პირველი ლაურეატები

პიური თამაშების პროგრამაში შეტანილი არ არის და ამიტომ იქნებ გამართლებულიც იყოს ამპლუას შეცვლა (დროებით, რა თქმა უნდა). ნებისმიერ სამბისტს, თუ ის აქაც ისახელებს თავს, ბუნებრივია ძიუდოისტთა ნაკრებშიც დაუთმობენ ადგილს. თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ ეს ექსპერიმენტი ჯერჯერობით ვერ ამართლებს — ოთხი სამბისტიდან მეოთხედფინალამდე მხოლოდ მოსკოველმა ვლადიმერ დუტოვმა მიაღწია, მერვედფინალამდე მინსკელმა ა. შაბანოვიჩმა. მ. შირინიანი და ა. ნესტერჩუკი კი ქვეჯგუფსაც ვერ გასცილდნენ.

1970 წლიდან მოყოლებული, ტრადიციულად და ჭიდაობის გულშემატკივართა ერთობ საინტერესო ასპარეზობად ქცეული ეს ტურნირი არა ერთსა და ორ ქართველ გამარჯვებულს ითვლის. იმის იმედი, რომ ეს რიცხვი პირველ დღესვე გაიზრდებოდა, სპორტის სასახლეში მოსულ ძიუდოს მოყვარულთ მაშინ გაუჩნდათ, როცა ქვემძიმე წონოსანთა ნახევარფინალში ჩვენი რესპუბლიკის სამმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პრიზიორმა ტარიელ მუთოშვილმა აქამდე 5 გამარჯვებით გაიკაფა გზა. რამაზ ხარშილაძემ ოთხი მეტოქე ჩამოიცილა, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ივატე. ტიურინისა და ევროპის ჩემპიონის იუგოსლაველი გორან ჟუველას სახით ლოლაშვილმაც საკმაოდ ძნელად ასაღები ბარიერი დაძლია. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა მეოთხედფინალური შეხვედრა იუგოსლაველთან. ეს პაექრობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა მეორე ტატამზე მსაჯებმა ნიჟარაძესა და იამასიტოს უხმეს. წარმოუდგენელია, მწვრთნელმა ასეთი ორთაბრძოლა უყურადღებოდ დასტოვო, მაგრამ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ანზორ მარტყოფლიშვილს სხვა გზა არ ჰქონდა — ჰამლეტ ლოლაშვილი ხომ მისი აღზრდილია. ქართველმა ფალავანმა ევროპის ექსჩემპიონს პირველივე წუთებზე ვაზარი „აართვა“ და არც მერე შეურცხვენია თავი — სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა.

ამასობაში შუროვმა მინსკელი ს. სოხაძე დაამარცხა და ამ სამეულს შეუერთდა. ხარშილაძე იოლად უსწორდება მუთოშვილს, მეორე ნახევარფინალში ოქროსთვის ბრძოლას შუროვი აგრძელებს. ლოლაშვილსა და მუთოშვილს ისღა დარჩათ, რომ ბრინჯაოს მედლები დამამშვიდებელ ტურნირებში გამარჯვებულ ვოიცეხ დვორჩინსკისთან (პოლონეთი) და კაცოხიკო ივატესთან პაექრობაში დაემსახურებინათ. ივატემ სძლია უკვე კარგა გვარიანად დაღლილ მეტოქეს. მეორე ორთაბრძოლა კი... უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი და ალბათ უკანასკნელი შეხვედრა, რომელშიც მსაჯებმა უთუოდ შესცოდეს. ჰამლეტიც საპრიზო ადგილს მიღმა აღმოჩნდა. მედლები მედლებად, მაგრამ ქვემძიმე წონის ქართველმა ათლეტებმა მაინც ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს.

მძიმე წონოსანთა ერთ ნახევარფინალში ნოვიკოვი 1:0-ზე უგებს ტიურინს (ეს ანგარიში შეფასებას არ გულისხმობს, მსაჯები აქტიური ჭიდაობისთვის ერთ-ერთ ძიუდოისტს აძლევენ უპირატესობას).

მეორე ნახევარფინალი: ნიჟარაძე — იამასიტო. ჯიბილო დამარცხდა ამ შეხვედრაში. მეშვიდე წუთზე იაპონელის მიერ ჩატარებულ ილეთს მსაჯებმა უმაღლესი შეფასება — იპონი მისცეს. შეჯიბრების დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ გამახსენდა ეს დუელი, გამახსენდა იამასიტო — ნოვიკოვის ორი შერკინებაც — ერთი ქვეჯგუფში, მეორე უკვე ფინალში და კიდევ ერთი პაექრობა, რომელიც ჩოჩიშვილმა 0:1-ზე დათმო ნოვიკოვთან. ძიუდოს ოთხი აღიარებული ოსტატი, ოთხი გამორჩეული ორთაბრძოლა. იასიხარომ მართლაც მოხიბლა თბილისელები და მასზე აღარ შევჩერდებით. რაც შეეხებათ დანარჩენებს... უთუოდ სუბიექტურია ეს შთაბეჭდილება, მაგრამ წმინდად დამარცხების მიუხედავად, როგორც სპორტსმენმა, როგორც მებრძოლმა, ყველაზე მეტი სიმპათია მაინც ჯიბილო ნიჟარაძემ დაიმსახურა. ამ შეხვედრის წინ მან უკვე იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, იცოდა ნოვიკოვის ორი იაპონური მარცხის შესახებ, იცოდა ამომავალი მზის ქვეყნის ტახტიდან ენდოს გადადგომაც. საკუთარი თვალით ნახა ნოვიკოვის მესამე წარუმატებლობაც და იამასიტოს რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც. და მაინც, ყველაფერ ამის მიუხედავად ისე შეება მეტოქეს, წარბიც არ შესტოკებია.

ფინალში ნოვიკოვი უფრო საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. იასიხარო იამასიტო პირველად გახდა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი. ბრინჯაო ნიჟარაძესა და ტიურინს ხვდათ.

რამაზ ხარშილაძემ კვლავ წარმატებით იასპარეზა, ფინალში დაამარცხა ალექსანდრე შუროვი და ოლიმპიური თამაშების ვერცხლს, მსოფლიო პირველობის ბრინჯაოსა და სხვა ჯილდოებს თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულის მეოთხე მედალიც შემატა.

გუშინ, საღამოს სპორტის სასახლეში კიდევ ორ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები.

ი. ბერიაშვილი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: მძიმეწონოსანთა ფინალური ორთაბრძოლა. ი. იამასიტო (მარცხნივ) და ს. ნოვიკოვი.

## მაგიდის ჩოგბურთი

მარიესტადი. შვეციის ამ ქალაქში მიმდინარე ევროპული ლიგის გათამაშების მატჩში მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები მწვავე ბრძოლაში დამარცხდნენ „ტრე კრუნურის“ გუნდთან — 3:4. თავიდან შეხვედრის მასპინძლები დაწინაურდნენ — 3:1, მაგრამ ლვოველმა ა. სტროკატოვმა მოიგო მომდევნო ერთეულთა შეხვედრა, შემდეგ სუმგაითელ ვ. პოპოვასთან ერთად იმარჯვა შერეულ წყვილთა ასპარეზობაში და ანგარიში გათანაბრდა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ბათუმელ სარქის სარხოიანს მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონმა სტელან ბენგტსონმა — 1:2.

ამავე ტურში უნგრელმა სპორტსმენებმა აჯობეს ინგლისის გუნდს — 5:2 და ხელთ იგდეს ტურნირის ლიდერობა — 6 შეხვედრაში 5 მოგება. 4-4 მოგება აქვთ სსრ კავშირის, შვეციისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებს.

# ორი გამარჯვება

კიდევ ორჯერ გაიმარჯვა I ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობაში თბილისის „ბურევესტნიკმა“. მისი მეტოქე ომსკის „სპარტაკი“ იყო.

ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს შარშანდელ ჩემპიონატში მეტოქენი და ყველა შეხვედრა თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. „ტრადიცია“ წელსაც გაგრძელდა.

პირველ შეხვედრაში თავიდანვე ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ და გაიმარჯვეს კიდეც — 100:78 (51:39). სტუმართა შორის გამოირჩეოდნენ რ. ზელენცოვა და ო. ლამზინა. პირველმა გუნდს 31 ქულა შესძინა, ხოლო მეორემ — 25. მასპინძელთა შორის აშკარად გამორჩეული ბომბარდირი არ იყო. სტუდენტები კოლექტიურად თამაშობდნენ და ქულებიც თანაბრად გაიყვეს. ნიკოლაიშვილმა გუნდს 19 ქულა მოუტანა, კვინიკაძემ — 18, გოგლიძემ — 17, ლობიანმა — 16 და ა. შ.

მეორე მატჩი მასპინძლებმა ძირითადად მეორე შემადგენლობით ჩაატარეს. ამის მიუხედავად მათი უპირატესობა აშკარა იყო — 90:64 (41:22).

14 და 15 თებერვალს „ბურევესტნიკი“ მორიგ შეხვედრებს შინ გამართავს მოსკოვის „სერპ ი მოლოტთან“. ეს გუნდი შარშან უმაღლესი ლიგის ბინადარი იყო. ამჯერად თბილისელებს ძლიერ მეტოქესთან ექნებათ საქმე.

**ფ. ლეონიძე.**

## კალათბურთი

### სერგეი ბელოვის 33 ქულა!

**8 თებერვალს** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატში გაიმართა ორი მატჩი.

მეთოთხმეტე გამარჯვება იზეიმეს ჩემპიონატის ლიდერებმა — მოსკოველმა არმიელებმა. ისინი ტალინში შეხვდნენ „კალევს“ და დაამარცხეს — 117:99 (55:49). მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო მოსკოველი ს. ბელოვი — 33 ქულა.

ძნელი გამარჯვება მოიპოვეს შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორებმა — ლენინგრადის სპარტაკელებმა. მათ საკუთარ მოედანზე უკანასკნელ წამებზე მოუგეს მოსკოვის „დინამოს“ — 109:107 (53:51).

## ფრენბურთი

### ლიდერობა განიმტკიცეს

**ოდესაში** დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები. შეჯიბრების ლიდერმა — ცსკამ და ლენინგრადის „ავტომობილისტმა“ ბოლო ორ ტურში დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები და განიმტკიცეს ლიდერობა. არმიელებმა დაამარცხეს კამჩატკის პეტროპავლოვსკის „სპარტაკი“ და მოსკოვის ოლქის „დინამო“ ერთნაირი ანგარიშით — 3:0, ხოლო ლენინგრადელებმა სძლიეს ვოროშილოვგრადის „ზვეზდას“ — 3:0 და ტალინის „კალევს“ — 3:1. ახლა ორივე გუნდს 10-10 ქულა აქვს. III ადგილზე მყოფმა ხარკოვის „ლოკომოტივმაც“ ორი გამარჯვება იზეიმა: ერთნაირი ანგარიშით (3:1) დაამარცხა კიეველი თანაკლუბელები და „კალევი“. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მოტორი“ (მინსკი) — „დინამო“ 3:1, „ლოკომოტივი“ (კიევი) — „ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) 3:2, „რადიოტექნიკი“ (რიგა) — „ჩერნომორგიდროსტროი“ (ოდესა) 3:0, ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი — „მოტორი“ 3:0, „სპარტაკი“ — „რადიოტექნიკი“ 0:3, „ჩერნომორგიდროსტროი“ — „ზვეზდა“ 0:3.

## ჩოგბურთი

### თ. კაკულიას წარმატება

**ესტონეთის** დედაქალაქ ტალინში გაიხსნა ფართო დარბაზი ორი საჩოგბურთო კორტით. რა თქმა უნდა, ესტონელებმაც არ დააყოვნეს და ამ სპორტული სარბიელის გახსნა რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ღია ზამთრის ჩემპიონატით აღნიშნეს. შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა ქართველი ჩოგბურთელი თ. კაკულია. მან ერთეულთა შეხვედრაში დაამარცხა მინსკელი ა. კაცნელსონი 6:3, 6:2, ტალინელი ს. ევინგი 6:3, 6:4, ლვოველი ს. გრუზმანი 7:5, 4:6, 6:3, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში ბაქოელი რ. ახმეროვი 6:4, 6:1, კაკულიამ პირველი ადგილი მოიპოვა ვაჟთა წყვილებშიც. ახმეროვთან ერთად დაამარცხა ბოგომოლოვ — ვოლკოვის წყვილი 7:6, 6:3, ხოლო შერეულ წყვილებში ჩუვირინასთან ერთად დაძაბულ ბრძოლაში წააგო გამარჯვებულებთან — ბირიუკოვა — ახმეროვთან 6:7, 6:7, ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რიგელი ი. შევჩენკო და მოსკოველი მ. ჩუვირინა. გაიმარჯვა შევჩენკომ 7:6, 7:6, ქალთა წყვილების ფინალში შევჩენკო — ივანოვამ მოუგეს ჩუვირინა — ბირიუკოვას 2:6, 6:1, 6:2.



### სასახლე — დედაქალაქელი ბავშვების მასპინძელი

**ლენინის** გორაზე მდებარე მოსკოვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს კარგად იცნობენ დედაქალაქელი ბავშვები. ათასობით ნორჩი მოსკოველისთვის იგი გადაიქცა მშობლიურ სახლად, სადაც გაკვეთილების შემდეგ მიიჩქარიან. მრავალი სექცია და წრე ბავშვებს მუსიკის, ცეკვისა და სპორტის სამყაროში ეპატიჟება.

ჩვენ მხატვრული ტანვარჯიშის სკოლიდან ვართ!

საკდესის ფოტო.

## [illegible] სპარტაკიადაში

### სიახლე ოლონეცში

ოლონეცში, წითელი არმიის ქუჩაზე აიგო არაშავმიწარაიონების ჩრდილოეთში პირველი, სოფლის ფიზკულტურელთათვის განკუთვნილი სპორტული კომპლექსი.

ორსართულიან აგურის შენობაში ყველაფერია — მოსახერხებელი გასახდელები და საშხაპეები, მეთოდისტ-ინსტრუქტორებისა და ექიმების მყუდრო ოთახები. სპორტული დარბაზები საშუალებას იძლევა წვრთნა ჩატარდეს სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც წინათ მხოლოდ მოკლე ზაფხულის მანძილზე ვარჯიშობდნენ. ყველაზე დიდ დარბაზში შეიძლება მოეწყოს ტანმოვარჯიშეების, მძლეოსნების, კალათბურთელების, ფრენბურთელებისა და სოფლად ახლახან ფეხმოკიდებული მინი-ფეხბურთის მოყვარულთა შეჯიბრებები. მცირე დარბაზი კრივის სექციისთვის არის გათვალისწინებული.

**ნ. მილოვი,**
საკდესის კორ.

ოლონეცი,
კარელიის ასსრ.

## ფეხბურთი

### ფინალისტთა რეპეტიცია

**რომი, 9 თებერვალი.** იტალიისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა, რომელიც 2 ივნისს არგენტინის ქალაქ მარდელ-პლატაში შეხვდებიან ერთმანეთს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში (I ჯგუფი), ნეაპოლში ჩაატარეს ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა და ფრედ დაამთავრეს იგი — 2:2. მასპინძლებმა 65 ათასი მაყურებლის თანდასწრებით საუკეთესოდ ითამაშეს პირველ ტაიმში, როცა გრაციანიმ ორჯერ აიღო ფრანგების კარი (ერთხელ — პენალტით).

მეორე ტაიმში ფრანგებმა, რომლებსაც უკვე 58 წელია არც ერთხელ არ მოუგიათ იტალიელებისთვის, შეცვალეს მოთამაშეები, ტაქტიკაც და გაათანაბრეს ანგარიში (ბატენეი, პლატინი).

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს იტალიელთაგან ბენეტი, ხოლო სტუმართა შორის — პლატინი და დალჟე.

### იტალია

მე-16 ტურში „მილანის“ კაპიტანმა რივერამ იშვიათი რეკორდი დაამყარა — მე-500 მატჩი ითამაშა ლიგაში. ამ დღეს „მილანმა“ მიიღო „ფიორენტინა“ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 5:1. „ლანეროსიმ“ 79-ე წუთზე პრესტანტის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა „ვერონა“. „იუვენტუსი“ სტუმრად ფრეს (0:0) დასჯერდა „ფოჯასთან“, ხოლო მისმა მთავარმა მეტოქემ „ტორინომ“ შინ ფრედ დაამთავრა შეხვედრა „რომასთან“ — 1:1.

ტურის დანარჩენი შეხვედრებია: „ბოლონია“ — „ინტერი“ 2:1, „ლაციო“ — „ჯენოვა“ 0:0, „ნაპოლი“ — „პესკარა“ 1:1, „პერუჯა“ — „ატალანტა“ 1:1.

16 ტურის შემდეგ „იუვენტუსს“ 23 ქულა აქვს, „ლანეროსისა“ და „ტორინოს“ — 21-21 ქულა, „მილანს“ — 20.

## ჩემპიონატები, მატჩები, რეკორდები

### ბელგია

ლიდერი — „ფკ ბრიუჟი“ 21-ე ტურში საკუთარ მინდორზე შეხვდა საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტს „ანდერლეხტს“ (ბრიუსელი) და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — 2:0. ახლა „ბრიუჟს“ 32 ქულა აქვს და 3 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „სტანდარდს“ (ლიეჟი), რომელმაც საკუთარ მინდორზე მოუგო „შარლერუას“ — 2:1. 27-27 ქულა აქვთ „ანდერლეხტსა“ და „სკ ბევერენ ვაასს“.

### ჰოლანდია

22-ე ტურში „პსვ ეინდჰოვენმა“ საკუთარ მინდორზე ფრედ — 1:1 ითამაშა „გო აჰეად დევენტერთან“, 33 ქულა მოაგროვა და 6 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ტვენტეს“. „ეინდჰოვენის“ წარმატება, ცხადია, შემთხვევითი არაა. აქ გამოდის ნაკრების 6 ცნობილი მოთამაშე (მეკარე ვან ბევერენი, ცენტრალური მცველი ვან კრააი, ნახევარმცველები ვ. და რ. ვან დე კერკჰოფები, თავდამსხმელები ვან დერ კაილენი და ლუბსე). სხვა საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას ჯერჯერობით ბევრი გუნდი აცხადებს, მათ შორის არის შარშანდელი ჩემპიონი, ამსტერდამის „აიაქსიც“, რომელსაც, ისევე როგორც „აზ 67 ალკმაარს“, 30 ქულა აქვს და მესამე-მეოთხე ადგილებზეა. „აიაქსის“ შედარებით მარცხიან თამაშს იმით ხსნიან, რომ მან გაყიდა 3 წამყვანი ფეხბურთელი: სურბიერი (გადავიდა გფრ-ის „შალკე 04“-ში), დიუსბაში (ბელგიის „ანდერლეხტში“ გამოდის) და ნოტენი (თამაშობს „ალკმაარში“). ძალზე წარუმატებლად გამოდის როტერდამის „ფეიენოორდი“ (23 ქულა, VI ადგილი). ამ ორიოდე წლის წინ მის თითოეულ თამაშს საშუალოდ 45 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ახლა კი ეს რიცხვი 15 ათასამდე დაეცა.

### პორტუგალია

დამთავრდა ჩემპიონატის პირველი წრე. ლიდერმა „ბენფიკამ“ (ლისაბონი) საკუთარ მინდორზე იოლად მოუგო (3:0) „რიო-პელეს“ (სარამაგოსი). ამით მან 26 ქულა მოაგროვა და 2 ქულით უსწრებს „პორტოს“, რომელმაც ბრაგაში დაამარცხა ადგილობრივი „სპორტინგი“ — 2:0.

21 ქულა აქვს ლისაბონის „ბელენენსეშს“, 19-19 — ლისაბონის „სპორტინგსა“ და გიმარაეშის „ვიტორიას“.


# უტირაჟო ბარათი —

**საიმედო, მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი**

მათთვის, ვინც სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს ყოველ ტირაჟზე რეგულარულად ბარათების შეძენას, ვინც ერთდროულად ყიდულობს ბარათების დიდ რაოდენობას და შინ ავსებს, ვინც თავისი სისტემა შეიმუშავა და ტირაჟიდან ტირაჟამდე ერთი და იგივე ნომრებს ხაზავს, ვინც მოგზაურობაში ან ექსპედიციაშია, ვინც სოფლად ან შორეულ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობს, აგრეთვე, „სპორტლოტოს“ ყველა დანარჩენი მოყვარულებისთვის ძალზე ხელსაყრელია უტირაჟო ბარათები, რომლებიც ჩვეულებრივისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მათზე არ აღინიშნება ტირაჟის ნომერი.

„სპორტლოტო-2“-ისა და „შაბათის სპორტლოტოს“ უტირაჟო ბარათებით შეიძლება ნებისმიერ ტირაჟში მონაწილეობა მოთამაშის სურვილის მიხედვით. ეს ბარათები ზუსტად ისევე ივსება, როგორც ჩვეულებრივი. არის ერთი ახალი პირობაც: ყველა სამ „ა“, „ბ“ და „ვ“ ნაწილში მარცხენა ზედა კუთხეში, სადაც გამოშვების წელია აღნიშნული, აუცილებლად გარკვევით უნდა მიუთითოთ ტირაჟის ნომერი, რომელშიც მონაწილეობის მიღება გსურთ.

**თუ დაგავიწყდათ ბარათზე ტირაჟის ნომრის აღნიშვნა, ნუ დაღონდებით. თქვენი ბარათი მაინც მიიღებს გათამაშებაში მონაწილეობას,** ოღონდ იმ კვარტლის ბოლო ტირაჟში, როდესაც სამმართველოში მოხვდება „ბ“ და „ვ“ ნაწილები.

უტირაჟო ბარათით მოგება ნაზღაურდება ნებისმიერ დროს, ვადის გასვლის შემდეგაც კი. ოღონდ ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მოგება დროულად ვერ იქნა მიღებული საპატიო მიზეზის გამო.

„სპორტლოტოს“ ყუთში „ბ“ და „ვ“ ნაწილების ჩაგდება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ არაუგვიანეს თქვენს მიერ არჩეული ტირაჟის ბარათების ამოღების ვადისა.

**სოფლად მცხოვრებთ, სადაც „სპორტლოტოს“ ყუთები არ არის, შეუძლიათ „ბ“ და „ვ“ ნაწილები კონვერტით გაგზავნონ „სპორტლოტოს“** საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში (380019, თბილისი — 19, ელიავას ქუჩა № 26) მათ მიერ არჩეული ტირაჟის დაწყებამდე არაუგვიანეს 16 დღისა.

უტირაჟო ბარათების შეძენა შეგიძლიათ „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში, შემნახველ სალაროებში და „სპორტლოტოს“ ბარათების გამყიდველ ყველა პუნქტში.

**ტირაჟები თამაშდება ყოველ ოთხშაბათს და შაბათს.** მათი ნომრები და ზუსტი თარიღები შეიძლება შეიტყოთ რეალიზაციის ყოველ პუნქტში.

ყურადღებით შეავსეთ ბარათები, გახსოვდეთ, უტირაჟო ბარათში უნდა აღნიშნოთ თქვენს მიერ არჩეული ტირაჟის ნომერი.

გისურვებთ წარმატებას!

საქსპორტლოტო.


რედაქტორი
**ა. ბასილაია.**


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; შადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.